ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში

ანგარიში N2 – ოქტომბერი - დეკემბერი, 2013

ანგარიში მომზადებულია პროექტის „ინტერნეტის თავისუფლების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს Stichting Free Press Unlimited და რეგიონული პარტნიორი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქართველოში და სომხეთში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას. წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

© ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2013 წელი. ყველა უფლება დაცულია

ავტორები:
თამარ იაკობიძე
თეონა ტურაშვილი

იანვარი 2014

შინაარსი

შესავალი....3

მეთოდოლოგია....4

ინტერნეტ მომხმარებელთა პროფილი....5

საქართველოს ინტერნეტის ინფრასტრუქტურის პროექტების მიმოხილვა.... 17

სამართლებრივი რეგულაცია.... 20

ინტერნეტის კონტენტის შეზღუდვები.... 24

ვებ-გვერდების ტექნიკური გაფილტვრა და დაბლოკვა.... 24

სიჩქარის პრობლემა.... 26

თვითცენზურა.... 28

ინტერნეტის მომხმარებლების უფლებები და მათი დარღვევა.... 30

www.reactor.ge-ს, www.studentebi.com-ისა და ინიციატივა „თარგმნე“-ს შემთხვევები.... 31

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ის შემთხვევა.... 32

ნათია იმნაძის შემთხვევა.... 33

www.TSpress.ge-ს შემთხვევა.... 34

საქაერონავიგაციის შემთხვევა.... 34

შეჯამება.... 35

პლურალიზმი.... 35

ინფო-აქტივიზმი.... 38

შესავალი

ადრეულ 1960-იან წლებში, ცივი ომის დროს, როდესაც ინჟინრები და მეცნიერები კიდევ ერთხელ შეეცადნენ თავდაცვის გაძლიერებას და ამ მიზნით მონაცემთა პაკეტების პირველი ტესტები გააგზავნეს ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპიუტერებს შორის, სავარაუდოდ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა იმ გავლენას, რაც ინტერნეტს დღეს აქვს მილიარდობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ახლა, როცა ცივი ომი და მისგან გამოწვეული საფრთხეები უკვე დიდი ხანია გაქრა დღის წესრიგიდან, ინტერნეტი ნელ-ნელა გავრცელდა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში - კომუნიკაციაში, მომსახურებებში, განათლებაში, ახალ ამბებში, გართობაში, ბიზნესში, მმართველობაში და სხვ. გლობალური ქსელის მსოფლიო დაფარვამ, რომელმაც, სხვა შედეგებს შორის მოიტანა გაზრდილი შესაძლებლობები საზოგადოებაში აქტიური როლის თამაშისათვის, ამავდროულად გამოიწვია ჩართულობის ახალი პოტენციური საფრთხეები. ამ მიზეზით, სიტყვის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების პატივისცემა და დაცვა ონლაინ აქტივისტებზეც გავრცელდა. ამ მხრივ ინტერნეტის თავისუფლების დაცვა სულ უფრო მეტად განიხილება როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი არსებითი საფუძველი.

პროექტის „ინტერნეტის თავისუფლების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში IDFI-მ ჩაატარა მრავალმხრივი კვლევა ინტერნეტის თავისუფლების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ. კვლევა მიზნად ისახავს უკეთ წარმოაჩინოს საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა და გამოწვევები. ამ მიზნის მისაღწევად ანგარიში რამდენიმე საკითხს მოიცავს: არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მიმოხილვა; კანონმდებლობა და მომხმარებლები; შეზღუდვები ინტერნეტის შინაარსზე, რაც მოიცავს ვებ-გვერდების ტექნიკურ გაფილტვრას და დაბლოკვას, თვით-ცენზურას და ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებებისა და მათი დარღვევების ბოლოდროინდელ შემთხვევებს; ბოლო ნაწილში მოცემულია საქართველოში პლურალიზმისა და ონლაინ აქტივიზმის მიმოხილვა.

ანგარიშის პირველი ნაწილი იწყება საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლების მრავალმხრივი მიმოხილვით - მომხმარებლების რაოდენობა, მოხმარების სიხშირე, ინტერნეტის გამოუყენებლობის მიზეზები და სხვ. იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტის განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების სტრატეგიულ პოლიტიკურ ხედვას, ანგარიში გრძელდება არსებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საქართველოს ინტერნეტ ბაზრის გამოწვევების აღწერით. ამ ნაწილს მოყვება ინტერნეტის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შეჯამება, რაც მოიცავს მარეგულირებელი ორგანოს უფლებებსა და ვალდებულებებს.

ანგარიშის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ინტერნეტის შინაარსის

პოტენციურ და არსებულ შეზღუდვებზე, ინტერნეტის პროვაიდერების როლსა და ხედვაზე, ამ პროცესში მარეგულირებელი ორგანოს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების როლზე, და სიტუაციაზე, როდესაც მომხმარებლები თავს იკავებენ ონლაინ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვისგან, რაც თვით-ცენზურად არის მოხსენიებული. განხილულია რამდენიმე ბოლოდროინდელი შემთხვევა, როდესაც ონლაინ აქტივობებს მოყვა ძალადობა, მუქარა, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვ.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში მოცემულია სოციალური მედიის თავისუფლების აღწერა და ინტერნეტის გავლენა სოციალურ აქტივიზმზე.

მეთოდოლოგია

ამ კვარტალურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების ერთობლიობით. პირველ რიგში, ამ პერიოდში ადგილობრივმა ექსპერტებმა საერთო ჯამში ცამეტ რესპონდენტთან ჩაატარეს სიღრმისეული ინტერვიუები. მათგან სამი გახლდათ საქართველოში სხვადასხვა ონლაინ მედიის რედაქტორი. გარდა ამისა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ სამ სამართლებრივ ექსპერტს ინტერნეტთან დაკავშირებულ საქართველოს საკანონმდებლო ბაზაზე. რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც ინტერნეტ მომსახურებას აქტიურად იყენებენ, განსაკუთრებით სამუშაო მიზნებისთვის, ინტერვიუები ჩატარდა ორ ჟურნალისტთან, ერთ ბლოგერთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთან. დანარჩენი სამი რესპონდენტი სოციალური მედიის, ინტერნეტ ინფრასტრუქტურის, ელ-სერვისების და ა.შ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი იყო. ბოლოს, ინტერვიუ ჩატარდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელთან (GNCC).

ყველა რესპონდენტი ძირითადად სპეციალიზებულია შემდეგ სფეროებში: კანონმდებლობა, ახალი ტექნოლოგიები, ინტერნეტ ინფრასტრუქტურა, ახალი/ონლაინ მედია, სოციალური ქსელები, ინტერნეტის ფილტრაცია და დაბლოკვა და სხვადასხვა ელ-რესურსებზე ინტერნეტის ხელმისაწვდომობასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ამასთან ერთად, IDFI-ის ექსპერტებმა ორგანიზება გაუკეთეს ფოკუსირებულ დისკუსიას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოთხმა ჟურნალისტმა, ორმა რედაქტორმა, ერთმა ბლოგერმა და ერთმა ყოფილმა ბლოგერმა/ჟურნალისტმა.

შეხვედრის დროს განხილულ მთავარ საკითხებს შორის იყო:

- საქართველოში ინტერნეტის თავისუფლება;

- ინტერნეტში ახალი მედიის თვითცენზურა;
- ონლაინ მედიის პლურალიზმი.

გარდა ამისა, რამდენიმე საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია: შინაგან საქმეთა სამინისტრო,[1] რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა[2] და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. ამ გზით ექსპერტები შეეცადნენ მიეღოთ სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის ინტერნეტ მომხმარებლების სტატისტიკა, ინტერნეტთან დაკავშირებული სამთავრობო პროგრამები და ინიციატივები, ინტერნეტ მეთვალყურეობის შემთხვევები და ა.შ.

ამ ხარისხობრივ მეთოდებთან ერთად, მონიტორინგი ჩაუტარდა მედია კონტენტს, გაანალიზდა აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებული ანგარიშები და პუბლიკაციები, შეგროვდა ინფორმაცია სოციალურ ქსელებში და ზოგადად, ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ, იმისათვის რომ გამოვლენილიყო საქართველოში ინტერნეტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები.

რაც შეეხება რაოდენობრივ მეთოდებს, გამოყენებულია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) სტატისტიკური მონაცემები. CRRC-ის წარმომადგენლებმა ექსპერტებს ყველა საჭირო მონაცემები მიაწოდეს. მათი მხრიდან ამგვარი დახმარების აღმოჩენისთვის ძალიან მადლიერები ვართ, რადგან ამ სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანგარიშის მომზადებაში.

ინტერნეტ მომხმარებელთა პროფილი

საქართველოში ინტერნეტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების კუთხით. მართალია არ არსებობს ობიექტური და სანდო მონაცემები, სადაც ნაჩვენებია მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის რა ნაწილს აქვს ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე, მაგრამ არსებობს ფრაგმენტული მონაცემები ცალკეული ტიპის მომსახურებების შესახებ.

მაგალითად, გაეროს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალიზებული სააგენტოს, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გამოთვლებისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ინტერნეტი

[1] მოთხოვნა შეეხებოდა ინტერნეტ ზედამხედველობის შემთხვევებს, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გვიპასუხა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციას ვერ შეაგროვებდა სისტემატიზებული მონაცემთა ბაზის არარსებობის გამო.

[2] საქართველოს პროკურატურას კითხვა გაეგზავნა 28 ნოემბერს და პასუხი ჯერ კიდევ არ მოუწოდებიათ.

საქართველოს უფროდაუფრო მეტი მომხმარებლისთვისაა ხელმისაწვდომი. გრაფიკიდან ჩანს, რომ 2008 წლიდან მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა ამ კუთხით. 2012 წლისთვის, ინტერნეტზე ხელი მიუწვდებოდა მოსახლეობის 45 პროცენტზე მეტს.[3]



ინტერნეტ გამოყენების მზარდი ტენდენცია იკვეთება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან (GNCC) გამოთხოვილი მონაცემებიდან. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე, კომისიამ IDFI-ს მიაწოდა სადენიანი ინტერნეტ აბონენტების ჯამური რაოდენობა წლების მიხედვით. ამ მაჩვენებლების საფუძველზე აგებული გრაფიკი აჩვენებს, რომ მუდმივი ზრდის ტენდენციის მიუხედავად, ეს დადებითი ცვლილება შედარებით ზომიერი გახდა ბოლო პერიოდში.

[3] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). სტატისტიკა. 2000-2012 წლებში ინდივიდების მიერ ინტერნეტ გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები", ბოლო ნახვა 28.09.2013, www.itu.int/en/ITU-D/Statistics/.../Individuals_Internet_2000-2012.xls



გარდა ამ მონაცემებისა, ITU ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციას ქვეყნებში სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების აბონენტთა რაოდენობის შესახებ. კერძოდ, მის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია შემდეგი ტიპის ტექნოლოგიების გამოწერის რაოდენობის შესახებ:

- ფიჭური მობილური ტელეფონის გამოწერა;
- ფიქსირებული ტელეფონის გამოწერა;
- ფართოზოლოვანი ინტერნეტის გამოწერა.

დიაგრამებიდან ჩანს, რომ 2007 წლამდე ფიჭური მობილური ტელეფონის აბონენტების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ეს ტენდენცია შემდეგი ორი წლის მანძილზე შენელდა. 2010 წელს ამ ტექნოლოგიის აბონენტთა რიცხვმა კვლავ ზრდა დაიწყო. თუმცა, ეს პოზიტიური ტენდენცია შემდგომში აღარ შენარჩუნდა. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 4,5 მილიონზე მეტი აბონენტი ფიქსირდება.[4]

[4] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://www.itu.int/en/ITU- D/Statistics/Pages/stat/default.aspx,
ბოლო ნახვა: 30.12.2013



ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების რაოდენობა ხშირად მერყეობს. მუდმივი ზრდის შემდეგ, 2005 წელს ფიქსირებული ტელეფონის აბონენტთა რიცხვმა კლება დაიწყო. ამ უარყოფით ტენდენციას მოჰყვა მყისიერი ზრდა 2009 წელს, როდესაც აბონენტების რიცხვი 720 ათასზე მეტით გაიზარდა. თუმცა, 2012 წელს კლების ტენდენცია კვლავ განმეორდა. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ფიქსირებული ტელეფონის აბონენტთა რიცხვი 1,2 მილიონზე მეტს შეადგენს.[5]

[5] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://www.itu.int/en/ITU- D/Statistics/Pages/stat/default.aspx,
ბოლო ნახვა: 30.12.2013



რაც შეეხება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტებს, ის ხასიათდება მუდმივი ზრდით, განსაკუთრებით 2007 წლიდან. ITU-ს გამოთვლების მიხედვით, 2012 წელს აბონენტთა რაოდენობამ 377 668-ს მიაღწია.[6]

[6] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://www.itu.int/en/ITU- D/Statistics/Pages/stat/default.aspx, ბოლო ნახვა: 30.12.2013



ამასთან ერთად, ITU-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2012 წლისთვის ოჯახების 95,6% ფლობს ტელევიზორს, 82,2%-ს აქვს ფიჭური მობილური ტელეფონი. მათთან შედარებით, ტელეფონისა და კომპიუტერის ფლობის მაჩვენებელი ზომიერია - 41,9% და 32,7%. კიდევ უფრო დაბალია ინტერნეტისა და რადიოს ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საქართველოს ოჯახებში.[7]



[7] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით. ხელმისაწვდომია: http://www.itu.int/en/ITU- D/Statistics/Pages/stat/default.aspx, ბოლო ნახვა: 30.12.2013

ამ კუთხით აღსანიშნავია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის, კავკასიის ბარომეტრის ბოლო მონაცემები. მისი შედეგების მიხედვით, პერსონალური კომპიუტერისა და ლეპტოპისგან (42%) განსხვავებით, უფრო მეტი ოჯახი ფლობს მობილურ ტელეფონს (89%). ამის მიუხედავად, ოჯახების უდიდესი ნაწილი, რომელთაც აქვთ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა, მას პერსონალური მობილური ტელეფონების ნაცვლად (12%) სახლის კომპიუტერიდან ან ლეპტოპიდან ამოწმებენ (82%). ეს ტენდენციები უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ, ინტერნეტ პროვაიდერებმა და ინტერნეტ ბაზართან დაკავშირებულმა სხვა აქტორებმა.[8]



ასევე, CRRC-ის შედეგები ინტერნეტ მომხმარებელთა მიახლოებითი რიცხვის დათვლის საშუალებას იძლევა. ბოლო სამი წლის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ ინტერნეტის ყოველდღიური მოხმარება შედარებით გაიზარდა. რეალურად, 2011 წელს საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა 42% იყენებდა ინტერნეტს ყოველდღე. მომდევნო წელს მაჩვენებელმა 46 პროცენტს მიაღწია.[9] 2013 წლისთვის, ინტერნეტს ყოველდღიურად თბილისის მოსახლეობის 53% იყენებს. საქართველოს სოფლებმა აჩვენეს 8%-იანი ზრდა ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის კუთხით, ბოლო ორი წლის მანძილზე მომხმარებელთა მაჩვენებელი 4-დან 12%-მდე გაიზარდა.[10] ამიტომაც, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს ინტერნეტ დაფარვის უთანასწორობის, ე.წ. ციფრული დაფარვის ნაპრალის, გადალახვა. სოფლის მოსახლეობა საჭიროებს სათანადო

[8] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2011). „კავკასიის ბარომეტრი“. ხელმისაწვდომია: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/ ბოლო ნახვა 20.12.2013

[9] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

[10] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

ყურადღებას საკომუნიკაციო სისტემის ოპერატორებისგან, სერვისების მიმწოდებლებისა და მთავრობისგან.



მზარდი ტენდენციის მიუხედავად, ფართოდაა აღიარებული, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარების, ელექტრონული მმართველობისა და ზოგადად, ონლაინ მედიის მდგრადობისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ გამოწვევად რჩება ინტერნეტის დაბალი ხელმისაწვდომობა. ინტერნეტის გავრცელების დაბრკოლებებზე საუბრისას, სხვადასხვა კვლევაში და ანგარიშში რამდენიმე ფაქტორზეა გაკეთებული აქცენტი: ინტერნეტის დაბალი სიჩქარე, მომსახურების შეუსაბამო ფასები, შეუფერებელი ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური პრობლემები, საჭირო უნარების ნაკლებობა და ა.შ.

მაგალითად, CRRC-ის „კავკასიური ბარომეტრი 2013“-ის მიხედვით, ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: კომპიუტერთან ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (31%), ინტერნეტის ნაკლები საჭიროება (23%), ინტერესის ნაკლებობა (14%), არასაკმარისი ინტერნეტ განათლება (10%), საჭირო მოწყობილობების ნაკლებობა (მოდემი ან სატელეფონო ხაზი) (10%), მაღალი ფასები ტექნოლოგიაზე (2%) და ა.შ.[11]

[11] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)



ინტერნეტ მომხმარებელთა მთავარი თავისებურებების წარმოსაჩენად, CRRC-ის 2013 წლის გამოკითხვაზე დაყრდნობით, ვეცადეთ გვეჩვენებინა ინტერნეტ მოხმარების სიხშირე გენდერის, განათლების დონისა და ასაკის ჭრილში. გრაფიკიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო მეტად არის აქტიური ონლაინ.



ამასთანავე, მაღალი განათლების მქონე ადამიანები უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტს.[12]



[12] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

რაც შეეხება გენდერის მიხედვით ინტერნეტ მომხმარებელთა განაწილებას, ამ მხრივ დიდი განსხვავება არ არსებობს. ინტერნეტის ყოველდღიურ მომხმარებლებს შორის 31% ქალია და 28% კაცი.[13]



ბოლოს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მომხმარებელთა ქცევის ანალიზი. ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სოციალურ მობილიზაციაზე, სამოქალაქო განათლებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველყოფაზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საშუალებების გავლენის იდენტიფიკაციისთვის. შედეგად, საინტერესოა, რა ტიპის მომსახურებას იყენებს და ითხოვს ყველაზე ხშირად ინტერნეტ მომხმარებელი ონლაინ. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს ონლაინ აქტივისტებისთვის ყველაზე საკვანძო ონლაინ აქტივობებია სოციალურ ქსელების შემოწმება, ინფორმაციის მოძიება, ჩეთი Skype-ში და ელ-ფოსტის გაგზავნა-მიღება. 2013 წლის ნოემბერში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც ინტერნეტს ახალი ამბებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაგების მთავარ წყაროდ აღიქვამენ, მთელი მოსახლეობის 19%-ს შეადგენს. დამატებით, საქართველოს მოსახლეობის ეს სეგმენტი პოლიტიკური ამბების შესახებ ინფორმაციას იღებს სოციალურ ქსელ Facebook-დან (74%), ახალი ამბების სააგენტოებიდან (42%) და რამდენიმე ვიდეო-პორტალიდან - ძირითადად, Youtube-დან (25%) და Myvideo.ge-დან (26%).[14]

[13] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

[14] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)


საიდან იღებთ ინფორმაციას პოლიტიკის შესახებ?
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
74%
42%
29%
26%
10%
7%
8%
5%
4%
1%
2%
Facebook
ახალი ამბების საგენტოები
Youtube
Myvideo.ge
პოლიტიკური პარტიების ვებ-გვერდები
Forum.ge
სამთავრობო-უწყებების ვებ-გვერდები
არასამთავრობო ორგანიზაციების ვებ...
ბლოგები
ტვიტერი
სხვა

საქართველოს ინტერნეტის ინფრასტრუქტურის პროექტების მიმოხილვა

საქართველოში ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარება დაახლოებით შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს. პირველი პერიოდი დაიწყო 1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც ყველა პროვაიდერი დაკავშირებული იყო რუსეთთან და ერთადერთი ვებ-გვერდი ეკუთვნოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ამას მოყვა პირველი პროვაიდერი კომპანიების გამოჩენა: ხეთა (www.kheta.ge), "Goodwillcom" და სხვები. თუმცა, ფასები მაღალი იყო, სიჩქარე კი მეტისმეტად დაბალი. ბაზარზე ახალი კომპანიების გამოჩენით (სანეტი,www.sanet.ge; კავკასუსი, www.caucasus.net), ფასებმა იკლო, ხოლო სიჩქარე გაიზარდა. ამ ეტაპზე პროვაიდერები იყენებდნენ სატელიტურ და საკაბელო კავშირებს. საქართველოში ინტერნეტის განვითარების მესამე პერიოდი დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების შემოღებით, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას დაკავშირებოდა ევროპულ ინტერნეტს. ამ მომენტისთვის მობილური კომუნიკაციების შემდეგ, ინტერნეტი ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტია საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე, პროვაიდერი კომპანიების შემოსავალი 2000 -იანი წლებიდან 2010-იანი წლებისთვის 3,15 მილიონი ლარიდან 30 მილიონ ლარამდე გაიზარდა.[15]

იმისათვის რომ მეტი გამოეკვლია ინტერნეტის ინფრასტრუქტურის არსებული ტენდენციებისა და განვითარების გეგმების შესახებ, IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (GNCC).[16] მიღებული ინფორმაცია საინტერესო ცნობებს იძლევა არსებული მდგომარეობის თაობაზე. ასე მაგალითად, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა (11 დეკემბერი, 2013), სამინისტრო არ ახორციელებს და არ გეგმავს განახორციელოს ინტერნეტის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტები (ფართოზოლოვანი ქსელები).

როგორც გამოჩნდა, ერთი მხრივ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად მიღებული ოფიციალური ცნობებით, ხოლო მეორე მხრივ, სიღრმისეული ინტერვიუებით, ამჟამად ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. აღსანიშნავია, რომ, ეკონომიკის

[15] ინტერნეტი საქართველოში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (GNCC), ხელმისაწვდომია http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5704&info_id=6429, ბოლო ნახვა: 07.01.2014

[16] პასუხი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან (GNCC) (მოთხოვნის გაგზავნის თარიღი 28.11.2013) მიღებულ იქნა ვადების დარღვევით (პასუხის მიღების თარიღი 03.01.2014) და მიღებული ინფორმაციის დიდი მოცულობის გამო მხოლოდ მცირე ნაწილის შეტანა მოხერხდა მოცემულ ანგარიშში, სრულ ანალიზს მომდევნო კვარტალურ ანგარიშში შემოგთავაზებთ.

სამინისტროს თანახმად, ინტერნეტის ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არ ყოფილა გამოყოფილი.

ეკონომიკის სამინისტროდან 2013 წლის 6 დეკემბერს მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, ფართოზოლოვანი დაშვების ქსელების განვითარების მიზნით, 2012-2013 წლებში სამინისტრო განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას ტრანსევროპაზიის საინფორმაციო სუპერმაგისტრალის (TASIM) ფორმირებაში. ეს არის „მთავარი რეგიონული ინიციატივა რომელიც მიზნად ისახავს ტრანსეროვნული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხერხემლის შექმნას, რომელიც უმთავრესად შეეხება ევრაზიის ქვეყნებს დასავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე.“[17] 2012 წლის 14 დეკემბერს, ისევე როგორც წინა წლებში საქართველომ მხარი დაუჭირა ახალი საინფორმაციო სუპერმაგისტრალის (TASIM) ჩამოყალიბების გაეროს რეზოლუციის პროექტს. ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიების სხდომებზე სხვა მონაწილე ქვეყნებთან ერთად (აზერბაიჯანი, თურქეთი, საქართველო, ჩინეთი, ყაზახეთი, გერმანია ა.შ.) საქართველო განიხილავს სუპერმაგისტრალის ფორმირების პროცესის ხელშეწყობის საკითხს.

საქართველოში ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით არსებობს მრავალგვარი მოსაზრებები მთავარი აქტორების - მარეგულირებელი ორგანოს, სახელმწიფოსა და პროვაიდერი კომპანიების - როლებთან და ჩართულობის ხარისხთან მიმართებაში.

GNCC-მ აღნიშნა, რომ ფიქსირებული ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარება არ არის მარეგულირებელი ორგანოს მოვალეობა მსოფლიოს მასშტაბით, არამედ უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგიის ნაწილი. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, როგორც GNCC-ის წარმომადგენელმა, ისე სხვა ექსპერტებმა აღნიშნეს რომ არსებობს სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკის ნაკლებობა იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია. პოლიტიკის განვითარების მხრივ გარკვეული ინფორმაცია ასევე მოწოდებულ იქნა ეკონომიკის სამინისტროდან. მაგალითად სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარებით მოამზადა პროექტი „საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს განვითარების პოლიტიკა“. აღნიშნული პროექტი იუსტიციის სამინისტროს თხოვნით, Twinning-ის პროექტის („ელექტრონული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“) ფარგლებში 2013 წელს მომზადებულ „2014-2018 წწ. ციფრული საქართველოს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის“ პროექტთან და შემუშავების

[17] საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU), ფართოზოლოვანი კომისია და პარტნიორობები: აქტივობების დეტალები, ხელმისაწვდომია: http://www.itu.int/wsis/stocktaking/plugin/broadband/documents2BB.asp?lang=en&project=1318837144 ბოლო ნახვა: 25.12.2013

პროცესში მყოფ „ინოვაციური საქართველო - 2020“ კონცეფციასთან ერთობლიობაში გადამუშავებული და განხილული იქნება 2014 წელს.

მაშინ როდესაც GNCC-ის მთავარი პასუხისმგებლობაა ბაზრის რეგულირება და მომხმარებლების უფლებების დაცვა, ის ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს სტრატეგიის განვითარების პროცესში და აწვდის სახელმწიფოს თავის რეკომენდაციებსა და ხედვას ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით. მაგ. GNCC-მ მიაწოდა მთავრობას თავისი რეკომენდაციები ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის რუკის შექმნასთან დაკავშირებით, იმისათვის რომ ყველა პროვაიდერსა და ინვესტორს ცოდნოდა განვითარების მიმართულებები. ამას გარდა GNCC-მ მთავრობას შესთავაზა „პასიური ინფრასტრუქტურის“ (არაკომუნიკაციური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ანტენები, გზები და ხიდები) რეგულირების გაფართოება იმის უზრუნველყოფით, რომ მაგ. გვერდიგვერდ არ არის დაყენებული სხვადასხვა კომპანიის სამი ანტენა და დამატებითი მილები არის ჩადებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებისთვის ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობისას.

თუმცა, ქვეყანაში ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, ისევე როგორც GNCC-ის ხელმძღვანელების ცვლილებამ და 2013 წლის მაისში საგამოძიებო კომისიის შექმნამ მნიშვნელოვნად შეაფერხა GNCC-ის სამუშაო პროცესი, როგორც ეს აღინიშნა ინტერვიუებში GNCC-ის წარმომადგენელთან[18] და დამოუკიდებელ ექსპერტებთან. [19]

მრავლისმომცველი სტრატეგიის საჭიროების გარდა არ არსებობს ერთიანი აზრი ინფრასტრუქტურულ განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხის შესახებ. ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რეგიონებში ინტერნეტიზაციის ნაკლებობა ეკონომიკური პრობლემაა, რადგანაც მოსახლეობის რაოდენობისა და მსყიდველობითი ძალის ნაკლებობის გამო პროვაიდერები არ არიან დაინტერესებული ზოგიერთ რეგიონში შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით; ამ შემთხვევებში სახელმწიფოს არ შეუძლია „აიძულოს“ პროვაიდერები, რომლებიც კომერციული კომპანიები არიან, რომ გაავრცელონ ინტერნეტი ქვეყანაში, შესაბამისად, სახელმწიფოს როლი მხოლოდ ბაზრის რეგულირებაში მდგომარეობს.[20] ამასთანავე, GNCC-ის წარმომადგენელმა მოიყვანა საერთაშორისო მაგალითები, როდესაც ინტერნეტიზაცია დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ სერვის-დეფიციტურ ადგილებში, სადაც პროვაიდერები თავად არ აპირებდნენ ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარებას გონივრულ ვადებში, და მრავალ შემთხვევაში ამას მოყვა გაზრდილი ინტერესი პროვაიდერების მხრიდან. თუმცა, არსებობს ასევე მაგალითები, როდესაც ასეთი აქტიური ინვესტიცია სახელმწიფოს

[18] GNCC-ის წარმომადგენელი, 12.12.2013
[19]რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013
[20] რესპონდენტი კ.ს. 26.11.2013

მხრიდან შეიძლება არ აღმოჩნდეს ეფექტიანი გრძელვადიან პერსპექტივაში, თუკი, მრავალი მიზეზის გამო ახალი ინფრასტრუქტურა არ გამოიყენება პროვაიდერი კომპანიების მიერ. GNCC-ს წარმომადგენელმა მოიყვანა პორტუგალიის მაგალითი, სადაც, მიუხედავად იმისა რომ ევროპულმა კომისიამ გამოყო თანხა ბოჭკოვანი ქსელის განვითარებაზე, და ყველა ოჯახი დაკავშირებულია ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან, მისი 60% აუთვისებელია, რადგან ოპერატორებისთვის უფრო იაფია საკუთარი DSL ქსელების გამოყენება, ვიდრე ოპტიკური ბოჭკოს დაქირავება.[21]

სამართლებრივი რეგულაცია

საქართველოს კანონმდებლობა ინტერნეტთან დაკავშირებით შეიძლება განიხილოს ერთ-ერთ ლიბერალურ და ნაკლებად შემზღუდველ რეგულაციად. მიუხედავად ამისა, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, საჭიროა მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით მისი მოდერნიზაცია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგი კანონმდებლობა ავტომატურად არ ნიშნავს კარგ პრაქტიკას. ამიტომაც, ინტერნეტ მომსახურების სფეროში ჩართული სხვადასხვა აქტორის ქცევას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების სექტორს არეგულირებს „კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. ის ქმნის, ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, მათი გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.[22]

კომისია უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში საქმიანობით დაინტერესებულ სუბიექტებს მიანიჭოს ავტორიზაცია. ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განაცხადის შეტანისას, მათ უნდა წარუდგინონ კომისიას გარკვეული ინფორმაცია. ეს უკანასკნელი ყველა სუბიექტის მონაცემებს ინახავს და ავტორიზაციის პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებისთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი.

ზოგადად აღიარებულია, რომ ეს პროცედურები დისკრიმინაციის ნიშნებს არ შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით GNCC დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანია, ბევრი მის ნეიტრალურობას ეჭვქვეშ აყენებს. კომისიის წევრების დასახელება ყოველთვის

[21] GNCC-ის წარმომადგენელი, 12.12.2013

[22] მუხლი 1; საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციის კანონი

იყო პოლიტიკური მანიპულაციის საგანი, რადგან პრეზიდენტი თავად არჩევდა კანდიდატებს და წარუდგენდა პარლამენტს.

თუმცა, 2013 წლის ოქტომბრის ბოლოს, ძალაში შევიდა ახალი წესები. ბოლო ცვლილებების მიხედვით, ქვეყნის პირველი პირი კანდიდატებს მხოლოდ მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ წარადგენს - სავალდებულო გახდა პრემიერ-მინისტრის ოფიციალური თანხმობა. ამის შემდეგ კანდიდატთა სია ეგზავნება პარლამენტს. შეიცვალა ასევე, კომისიის ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურაც. კერძოდ, პრეზიდენტის ნაცვლად, მას თავად კომისიის წევრები ნიშნავენ. ასევე, ახალი რეგულაციების თანახმად მხოლოდ პოლიტიკური პარტიები აღარ წარადგენენ წევრობის კანდიდატებს და ყველას აქვს ამის გაკეთების უფლება. პოტენციური კანდიდატებისთვის გაიზარდა მოთხოვნებიც. ისინი უნდა ფლობდნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ეკონომიკაში, საჯარო ადმინისტრირებაში, ბიზნეს ადმინისტრირებაში, სამართალში და ელექტრონულ კომუნიკაციებში. პრაქტიკულ გამოცდილებას რაც შეეხება, შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ ათწლიანი სტაჟი უნდა ჰქონდეთ.

ეს ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს. თუმცა, ექსპერტების მტკიცებით, ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ მზაობაზე, იმისთვის რომ ეს წესები პრაქტიკაში განხორციელდეს. ყველა აღიარებს ამ ინსტიტუტის როლსა და მნიშვნელობას, რადგანაც, თეორიულად, იგი დამოუკიდებელი ორგანოა. ამავდროულად, მისი ეფექტური და სათანადო ფუნქციონირება შეზღუდულია, რამდენიმე ფაქტორის გამო, მათ შორის:

- პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნაკლებობა და მუდმივი ეჭვები მისი წევრების პოლიტიკური მიკუთვნებულობისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ;
- ამ სფეროში სახელმწიფოს მიერ შექმნილი საერთო სტრატეგიის არარსებობა, რაც კომისიას მისცემდა საშუალებას საკუთარი აქტივობები სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით დაეგეგმა.

საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესების პოტენციური გზების განხილვისას, ზოგიერთმა ექსპერტმა განაცხადა, რომ აუცილებელია ინტერნეტთან დაკავშირებით საერთო სტანდარტის, მიდგომისა და სტრატეგიის შექმნა, რადგან ინტერნეტთან დაკავშირებული რეგულაციები ან ნორმატიული აქტები ფრაგმენტულია და როგორც წესი, სხვადასხვა კოდექსის, აქტისა და კანონის ნაწილია.[23] ასევე, აღინიშნა, რომ ამგვარი რეგულაციებს არ უნდა დაექვემდებაროს ახალი ტექნოლოგიით გადაცემული კონტენტი. ნაცვლად ამისა, გრძელვადიანმა სტრატეგიამ და სათანადო რეგულაციებმა უნდა წარმოქმნას ჯანსაღი კონკურენციის მყარი საფუძვლები, უნდა განსაზღვროს ინტერნეტ

[23] რესპონდენტი დ.კ 29.11.2013

ბაზარზე მოქმედი ნებისმიერი მხარის ზუსტი პასუხისმგებლობები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, პირველ რიგში მიწოდებული ინტერნეტის სიჩქარისა და ხარისხის თვალსაზრისით. რეგულაციები შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ საკითხებზე, რაც დანაშაულის შესაძლო ნიშნებს შეიცავს.[24]

ამას გარდა, ექსპერტებმა დასძინეს, რომ გარკვეულწილად საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ინტერნეტმომწოდებლების ანგარიშვალდებულების კუთხით დამაკმაყოფილებელია, თუმცა აღნიშნული კანონები სათანადოდ არ სრულდება. მათი მტკიცებით, იდეალური კანონმდებლობაც კი არ გადაიქცევა ავტომატურად კარგ აღმასრულებელ პრაქტიკად. მრავალი აქტორის, მათ შორის კომპანიებისა და ინტერნეტმომწოდებლების ქცევა მომდინარეობს კარგი პრაქტიკის მეშვეობით დანერგილი ნორმებიდან.[25] შედეგად, კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს თუ ეს მხარეები ამ ნორმებსა და დირექტივებს დაემორჩილებიან და მიჰყვებიან.

დამატებით, ინტერნეტთან დაკავშირებული კანონმდებლობა მიიჩნევა ზედაპირულად, ბუნდოვნად, მოძველებურად და ძალიან ზოგადად. კონკრეტულად, დიდი ლავირების სივრცეა დატოვებული ბაზარზე მოქმედი მხარეებისთვის. შედეგად, მაღალი სიჩქარისა და ხარისხის ინტერნეტის მიწოდება დამოკიდებულია კომპანიების კეთილსინდისიერებაზე.[26] ამგვარი პრაქტიკა აფერხებს ჯანსაღი და ღია კონკურენციის განვითარებას და ბაზარს განუვითარებელს ტოვებს.[27]

ასევე, ზოგიერთის მოსაზრებით, ქართველ მომხმარებლებს ღარიბი საკანონმდებლო კულტურა გააჩნიათ: ისინი ან არ იცნობენ საკუთარ უფლებებს ან არ ცდილობენ მის დაცვას სასამართლოსთვის მიმართვით. ამის ნაცვლად, როგორც რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, მოსახელობის უმეტესობა ამჯობინებს ცალკეული დავების უმეტესწილად პირადი კონტაქტების[28] ან ზეპირი შეთანხმებების მეშვეობით მოგვარებას.[29]

რაც შეეხება კანონმდებლობის სხვა ასპექტებს, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით უზრუნველყოფილია გამოხატვის თავისუფლება. ამ კუთხით, საგულისხმოა აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში მცდელობები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისთვის 1691-ე მუხლის დამატების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნოდა და მოიცავდა მუხლს, რომელიც მიზნად ისახავდა მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხმყოფელი მოსაზრებების გამოხატვის აკრძალვას. კერძოდ, მუხლი ადმინისტრაციულ

[24] რესპონდენტი დ.კ 29.11.2013
[25] რესპონდენტი უ.ს 11.12.2013
[26] რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013
[27] რესპონდენტი უ.ს 11.12.2013
[28] რესპონდენტი ლ.ზ 13.12.2013 და ნ.ტ. 20.11.2013
[29] რესპონდენტი დ.კ 29.11.2013

პასუხისმგებლობას აწესებდა პირის მიერ რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვისათვის. ასევე, სამართალდარღვევად აცხადებდა ღვთისმსახურების ან/და სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას და რელიგიური შენობების და სხვა სიწმინდეების წაბილწვას, მათზე ნებისმიერი წარწერის გაკეთებას ან/და მათ დაზიანებას. ცვლილებებით განისაზღვრებოდა ადმინისტრაციული ჯარიმებიც: პირველი დარღვევისთვის ჯარიმა შეადგენდა 300-500 ლარს. ერთი წლის მანძილზე განმეორების შემთხვევაში ჯარიმა იქნებოდა 1 000-1 500 ლარი ან 15 დღე ადმინისტრაციული პატიმრობა.

საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილისა და რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციის შეფასებით, ეს წინადადება წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციასთან, ადამიანის ძირითად უფლებებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან. არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „განსახილველი საკანონმდებლო ჩანაწერი გამოხატვის თავისუფლებაზე თვითნებურ და გაუმართლებელ შინაარსობრივ შეზღუდვას დააწესებს და საფრთხეს შეუქმნის თავისუფალ საჯარო დებატებს საზოგადოებაში. სეკულარიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს სეკულარობის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ძალაუფლებებისა და რელიგიის თემაზე საჯარო დებატებსა და საზოგადოებრივი პროცესების რაციონალიზაციას მოითხოვს.“ 10 რელიგიური ორგანიზაციის მიერ ხელმოწერილი კიდევ ერთი განცხადება ხაზს უსვამდა, რომ ეს მუხლი შეიძლება გამოყენებულიყო უმცირესობებისა და ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ შორეულ პერსპექტივაში. ასევე, სოციალური აქტივისტები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები შიშობდნენ, რომ ამგვარი რეგულაციების მიღების შემდეგ გამოხატვის თავისუფლებას საფრთხე შეექმნებოდა ინტერნეტშიც, რადგანაც მოქალაქეები შეეცდებოდნენ თავი შეეკავებინათ სოციალურ ქსელებში რელიგიური საკითხების შესახებ კომენტარებისა და პოსტების დადებისგან.

საზოგადოების ამგვარი რეაქციიის გამო კანონპროექტს მოდიფიკაცია გაუკეთდა, თუმცა ორგანიზაციათა ნაწილი კვლავაც მოითხოვდა მთავრობისგან საკანონმდებლო ინიციატივის გამოტანას, რადგანაც მცირე ცვლილებები არ ხსნიდა პრობლემებს და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული რისკები არ იყო აღმოფხვრილი.

მსგავს პოზიციას იზიარებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მდივანი, დავით კლდიაშვილი, რომელმაც ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამგვარი ცვლილებების მიღება დემოკრატიზაციისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ინტერნეტის კონტენტის შეზღუდვები

ვებ-გვერდების ტექნიკური გაფილტვრა და დაბლოკვა

ინტერნეტის გაზრდილი მნიშვნელობისა და თანამედროვე ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ასპექტზე გავლენის კვალდაკვალ, ინტერნეტზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის პოტენციურმა საფრთხეებმა ადამიანის უფლებების დამცველთა შეშფოთება გამოიწვია. როგორც სამართლის ექსპერტმა აღნიშნა, საქართველოსთან მიმართებაში, ასეთი წუხილი არ არის უსაფუძვლო, რადგანაც „სავარაუდოდ ყველა ხელისუფლებას ექნება ამის ცდუნება, რომ აკონტროლოს ინფორამციის წყაროები“ და თავისუფალი ხელმისაწვდომობის ერთადერთი გარანტია არის სამოქალაქო სექტორის, მარეგულირებელი სუბიექტებისა და სახელმწიფოს სხვადასხვა შტოების ურთიერთკონტროლი.[30]

ტექნიკურად მრავალი საშუალება არსებობს რითაც სახელმწიფოს, მარეგულირებელ ორგანოს ან პროვაიდერ კომპანიას შეუძლია გაფილტროს ან დაბლოკოს ვებ-გვერდები. „ინტერნეტის ტრაფიკის მართვისას ოპერატორებს შეუძლიათ უპირატესობა მიანიჭონ ზოგიერთ სერვისს, და შეზღუდონ სხვა სერვისები. სწორედ ამიტომ პროვაიდერებს „მეკარეებს“ (gate keepers) უწოდებენ“ - თქვა GNCC-ის წარმომადგენელმა.

როგორც აღინიშნა, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და მეორე მხრივ, მარეგულირებელი ორგანოს მიერ, საქართველოში არ არსებობს ვებ-გვერდების პირდაპირი ცენზურა, გაფილტვრა და დაბლოკვა. თუმცა, მეგობრული ან მუქარის შემცველი ზარები, შეურაცხყოფა, თხოვნები, გაფრთხილებები და შანტაჟი საკმაოდ ხშირია.

ამ დრომდე ვებ-გვერდების დაბლოკვის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემთხვევა ეხება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსული ვებ-გვერდების დაბლოკვას. როგორც ინტერვიუში იქნა აღნიშნული, ეს იყო მარეგულირებელი ორგანოსა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან თხოვნებისა და რეკომენდაციების შედეგი. მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის დაცვა ნეგატიური ინფორმაციისგან, რასაც შეეძლო გამოეწვია პანიკა. მიუხედავად იმისა რომ თხოვნებს მხოლოდ ერთი პროვაიდერი (კავკასუსი ონლაინი) დაემორჩილა, და არ არსებობდა სანქციები დანარჩენების წინააღმდეგ, ამ ფაქტს მაინც მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა, რადგან კავკასუს ონლაინი იმ დროისთვის ბაზრის ლიდერი იყო და გააჩნდა დაფარვის 70-80%.

ვებ-გვერდების დაბლოკვის კიდევ ერთი შემთხვევა უკავშირდება რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ გადაღებულ ფილმს „ომის ხუთი

[30] რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013

დღე“. აღნიშნული ფილმი ინტერნეტში მანამდე გავრცელდა, სანამ კინოთეატრებში გავიდოდა, რის გამოც GNCC-მ მიმართა პროვაიდერებს დაბლოკვის თხოვნით. „ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ პროვაიდერებს დაბლოკონ რაიმე არალეგალური. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი ხალხმა ლამის რევოლუცია მოაწყო; მათ გატეხეს ჩვენი ვებ-გვერდი და რაღაცები დაწერეს იქ. იმიტომ რომ ფილმის ყურება უნდოდათ“ - განაცხადა ინტერვიუში GNCC-ის წარმომადგენელმა.

იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგი შეიძლება ქონდეს მუქარის შემცველ ზარებს, ერთმა ექსპერტმა მოიყვანა მაგალითი: „ასეთი შემთხვევები არ ყოფილა, მაგრამ როდესაც მე ვკითხე პრო-სერვისის ხელმძღვანელს, სამივე ჰოსტინგ-კომპანიის (Intelcom, Serv.ge and Pro-Service) მფლობელს, რომლის სერვერებზეც განთავსებულია ქვეყნის ვებ-გვერდების 90%, დაბლოკავდა თუ არა ვებ-გვერდს ასეთ შემთხვევაში, მათ თქვა „კი“. მან თქვა - პირველ რიგში, იმიტომ რომ, მომწონს ეს მთავრობა[31], ჩემს ძმას უკავია თანამდებობა ეკონომიკის სამინისტროში; მეორე მხრივ, არ მინდა ბიზნესი დავკარგო 15 ლარის გამო. როდესაც იგივე კითხვა დავუსვი სხვა ჰოსტინგ-კომპანიას, მითხრეს, „სასამართლო გადაწყვეტილება მჭირდება, მაგრამ რთული თემაა, სავარაუდოდ უნდა დავექვემდებაროთ.“.[32]სხვა ინტერვიუში ნახსენები იყო, რომ ყველა ოპერატორი თანამშრომლობდა სახელმწიფოსთან მოსმენებთან დაკავშირებით: „განსაკუთრებით ბოლო პერიოდში აიძულეს რომ ყველა ეს ოპერატორი დაეყენებინათ [მოსასმენი აპარატურა] თავის ოფისში. [...] ყველასთან ეყენა და შეიძლება დღესაც აყენია.“.[33]

ინტერნეტის შინაარსის შეზღუდვისა და მუქარის შემთხვევებშიც კი იშვიათად მიმართავენ სასამართლოს. GNCC-ს აგრეთვე არც ერთი საჩივარი არ მიუღია ვებ-გვერდების დაბლოკვასთან და შინაარსის შეზღუდვასთან დაკავშირებით. „ჩვენი მომხმარებელი გამოქვაბულშია ან პროცედურებია იმდენად რთული და გაუგებარი რომ არ უჩნდება სურვილი რომ იჩივლოს და შემდეგ ამ საჩივარს სდიოს მარეგულირებელ კომისიაში.“ - ითქვა ერთ-ერთი ინტერვიუს დროს.[34] როგორც GNCC-ს წარმომადგენელთა ინტერვიუში იყო ნათქვამი, კომისიის მიერ მიღებული თხოვნების უმეტესობა შეეხება ფასების შემცირებასა და სიჩქარის გაზრდას. [35] ამ განცხადებას ასაბუთებს კომისიის მიერ მიღებული საჯარო ინფორმაცია საჩივრების ასლების მოთხოვნის თაობაზე. რაც შეეხება გასაჩივრების პროცესის ეფექტურობას, როგორც სამართლის ექსპერტმა აღნიშნა,

[31]პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობა
[32] რესპონდენტი კ.ს. 26.11.2013
[33] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013
[34] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013
[35] GNCC-ის წარმომადგენელი, 12.12.2013

ძირითადად მიჩნეულია, რომ GNCC-ის საჩივრების განხილვა ხდება ვადების დაცვით, რაც ყოველთვის ასე არ ყოფილა სამართალდამცავი ორგანოების შემთხვევაში.[36]

თუმცა, ინტერნეტის გამოყენების თავისუფლების არასასურველი შეზღუდვის შესახებ არსებული შეშფოთება არ უნდა იქნას არეული ინტერნეტის რეგულირების საჭიროებასთან. „ტერმინი ინტერნეტის დარეგულირება - [ნიშნავს რომ] მე ტრაფიკს არ ვაკონტროლებ და არ ვარეგულირებ. ვარეგულირებ იმ პირობებს რაც ტრაფიკს ვქმნი, [...] კონტენტი არ მაინტერესებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძალადობა, პორნოგრაფია თუ არ იქნება. იმის ქვემოთ თავისუფლები არიან [...] მთავარია რომ იყოს თანაბარი პირობები.“[37] „ინტერნეტის რეგულირების“ ტერმინის ნათლად გაგების მნიშვნელობა სხვა ინტერვიუშიც იქნა აღნიშნული. კერძოდ, ითქვა, რომ ინტერნეტის რეგულირება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ისეთი ცუდი პრაქტიკა, როგორიც მაგ. არის რუსეთში, სადაც იუსტიციის სამინისტროს აქვს აკრძალული ვებ-გვერდების ჩამონათვალი, რომელთა ნებისმიერ დროს წაშლაც შეუძლია სასამართლოს ბრძანების გარეშე. „ჩვენ უნდა ვარეგულიროთ ინტერნეტში განხორციელებული ქმედებები, და არა თავად ინტერნეტი“ - აღნიშნა ექსპერტმა.[38] ამ მხრივ საქართველოს ინტერნეტი შეფასებულია როგორც „ანარქიულად თავისუფალი“, რადგან არალეგალური შინაარსის მქონე ინფორმაციაც არ არის შესაბამისად გაკონტროლებული ქართულ ინტერნეტში, მაგ. არალეგალური ფილმები. მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა, რომ არალეგალური ონლაინ ინფორმაციის ყოველმხრივ გაკონტროლებისთვის არსებობს როგორც რესურსების, ისე საზოგადოების მზაობის ნაკლებობა. [39]

სიჩქარის პრობლემა

ერთ-ერთი საკითხი რაც ნახსენები იყო ინტერნეტის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლოა პოტენციური გავლენა ქონდეს ინტერნეტის შინაარსის შეზღუდვაზე, უკავშირდება ინტერნეტის სიჩქარის პრობლემას. ერთ-ერთ ექსპერტთან ინტერვიუში ნახსენები იყო, რომ პროვაიდერებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ატვირთვის სიჩქარე ისევე, როგორც ჩამოტვირთვის სიჩქარე. სხვა ინტერვიუში ნათქვამი იყო, რომ მომხმარებლებმა სინამდვილეში არ იციან თუ რა სახის ინტერნეტს ყიდულობენ, მათ იციან მხოლოდ ინტერნეტის სიჩქარის ზედა ზღვარი; თუმცა, სინამდვილეში არსებული მოხმარება და ასეთი სიჩქარის ინტერნეტის მიღების შესაძლებლობები გაურკვეველი რჩება. „ეს არის თეთრი ლაქა და ეს ქმნის წინაპირობას,

[36] რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013
[37] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013
[38] რესპონდენტი დ.კ. 29.11.2013
[39] GNCC-ის წარმომადგენელი, 12.12.2013

რომ ვერ შევაფასოთ, რომელი მხარე იტყუება. მომხმარებელი იტყუება თუ რომელიმე დონეზე იტყუება ინტერნეტის მომწოდებელი, კომპანია და ორგანიზაცია."[40]

თუმცა, მარეგულირებელი კომისია მიიჩნევს, რომ ინტერნეტის სიმძლავრე არ არის უსაზღვრო და სიჩქარე არასდროს არის საკმარისი. გარდა ამისა, როგორც GNCC-ში აღნიშნეს, ინტერნეტის სიმძლავრე დამოკიდებულია კონკრეტულ მომსახურებაზე, რადგანაც ზოგიერთი მომსახურება საჭიროებს კავშირს რეალურ დროში (ხმით გადაცემა ინტერნეტ პროტოკოლის საშუალებით, Voice Over IP (VOIP), მაშინ როდესაც სხვებს (ელ-ფოსტა) შეუძლიათ გარკვეული დაყოვნებით ფუნქციონირება. ამას გარდა, ხდება არა სიჩქარის, არამედ ზოგიერთი აპლიკაციის დაბლოკვა. იმის დადგენის სირთულის შესახებ, თუ ვისი ბრალია დაბალი სიჩქარე, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა , რომ ეს შეიძლება იყოს ოპერატორის, მონახულებული ვებ-გვერდის, კაბელის ან ა.შ. პრობლემა. [41]

ექსპერტები საუბრობენ, რომ არ არის საკმარისი კონტროლი პროვაიდერებზე, და ინტერნეტის დაბალი სიჩქარე არ არის ოფიციალურად შესწავლილი.[42] როგორც ნახსენებია ინტერვიუში GNCC-ის წარმომადგენელთან, რთულია ტრაფიკის და ინტერნეტის ხარისხის მართვა: „იოლია ნახო ბლოკავს თუ არა მომსახურების მიმწოდებელი აპლიკაციას ან მომსახურებას, მაგრამ რატომ არის ცუდი ხარისხი აბონენტამდე, ამის ნახვა ბევრ პარამეტრთან არის დაკავშირებული. მე ვაკონტროლებ რას - შემიძლია ვთქვა აბონენტამდე რას მივიტან. მე კიდევ ჩართული ვარ მილიონ კომპანიასთან. ბევრი ისეთი ობიექტური მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს ცუდი ხარისხის მომსახურების მიწოდება, რაც ჩემი ბრალი არ იქნება."[43] რაც შეეხება ინტერნეტის სიჩქარის გაზომვის ოფიციალურ კვლევებს, იგეგმებოდა RED-M-ის პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა ინტერნეტის ხარისხის გაზომვას 400 მოწყობილობის საშუალებით, რომელიც გაგზავნიდა ტესტებს სხვადასხვა სერვერებზე და შეამოწმებდა ინტერნეტის ხარისხს იმ დროის განმავლობაში, სანამ მომხმარებელი არ იყო აქტიური. თუმცა, მოწყობილობების დატესტვის დროს წარმოიშვა პრობლემა wi-fi-სთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია კომპანიასთან კონტრაქტის გაწყვეტა, რომელიც მსგავსი ტესტების ჩამტარებელი ორი სულ არსებული კომპანიიდან ერთ-ერთი იყო. ტესტის ერთ-ერთი უარყოფით მხარედ მიჩნეულ იქნა ის, რომ ის ზომავდა ხარისხს არა მაშინ როდესაც ქსელი გადატვირთული, არამედ მაშინ როდესაც თავისუფალი იყო. [44]

სამართლის ექსპერტის მოსაზრებით, ასეთი კვლევების ნაკლებობა პრობლემას ქმნის მომხმარებლების უფლებების კუთხით: „დიდი ხანია ინტერნეტი არსებობს და

[40] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013
[41] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013
[42] რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013
[43] GNCC-ის წარმომადგენელი, 12.12.2013
[44] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013

მარეგულირებელი კომისია ამ წლების მანძლზე ვერ ახერხებს ხარისხით უზრუნველყოს მომხმარებელი. ამ შემთხვევაში მომხმარებლის უფლებების დარღვევაზე გვაქვს საუბარი."[45] თუმცა GNCC-თვის პროექტის მთავარი მიზანი უფლებების დაცვაში არ მდგომარეობდა: „ეს პროექტი დაგეგმილი იყო რომ მომხმარებლის კი არა, ზოგადად რომ გაგვეგო სიტუაცია ბაზარზე რა ხდება, განვითარების ტენდენციებს დავკვირვებოდით, ვისაც პრობლემა ქონდა იქ დაგვედგა."[46] კვლევა მიზნად ისახავდა სიჩქარის გაზომვას და იმის დადგენას, თუ რამდენად იყო ინტერნეტი ღია. ასევე იმის ნახვას, თუ რამდენად ასრულებდნენ ოპერატორები თავის მოვალეობებს, მაგრამ ყველაფერი არ არის დამოკიდებული ოპერატორზე. კიდევ ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ როდესაც GNCC-ის მიზანი იყო „ოპერატორების დასჯა", ეს არ იყო სწორი, რადგანაც მარეგულირებელი ორგანო უნდა დაეხმაროს მომხმარებელს, გახდეს უფრო ჭკვიანი, თავად მოითხოვოს და აკონტროლოს. ამას გარდა, თუკი GNCC დაიწყებდა კომპანიების „დასჯას", მცირე კომპანიები უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, რადგან მათ არ გააჩნიათ შესაბამისი მასშტაბები, ისინი ინტერნეტს უფრო ძვირად ყიდულობენ და უფრო მეტად ატყუებენ მომხმარებლებს. „დაჯარიმება თვითმიზანი ხომ არ არის. [...] ბაზარია, კონკურენტული ბაზარია, მე ვარ მარეგულირებელი, მე ვარეგულირებ ბაზარს, ვალაგებ სიტუაციას ისე რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი პირობები. თუ ის ატყუებს მომხმარებელს, გასაქცევს ვუტოვებ მომხმარებელს." ამას გარდა RED-M-ის პროექტი ვერ შეძლებდა ქვეყნის სრული სურათის მოცემას, და აქცენტი არ უნდა გაკეთებულიყო ქალაქებზე, არამედ რეგიონებზე, სადაც არსებობს პრობლემა ინტერნეტთან დაკავშირებით, განაცხადა ექსპერტმა. [47]

თვითცენზურა

ონლაინ სივრცეში ყოფნისას, სადაც ასობით ადამიანი ხედავს შენს პოსტებს, კომენტარებსა და შენ მიერ გაზიარებულ ინფორმაციას, შეიძლება თავი შეიკავო გარკვეულ საკითხებზე ღიად მოსაზრებების გამოხატვისაგან. ეს განსაკუთრებით ეხებათ იმ პირებს, რომლებიც გარკვეულ ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან ან კომპანიებთან ასოცირდებიან. ამ კატეგორიაში შედიან ჟურნალისტებიც, რადგან მათ ხშირად ჟურნალისტური სტანდარტების გათვალისწინება უხდებათ.

ამ საკითზე საქართველოს ონლაინ სივრცეში და სხვა პლატფორმების გამოყენებით მრავალი დისკუსია გაიმართა. ამგვარი დებატების მთავარი თემა იყო თუ სად გადის ზღვარი ჟურნალისტიკას და სამოქალაქო აქტივიზმს, პირად მოსაზრებებსა და სარედაქციო პოზიციას შორის.

[45] რესპონდენტი ნ.კ. 22.11.2013
[46] GNCC-ის წარმომადგენელი 12.12.2013
[47] რესპონდენტი უ.ს. 11.12.2013

ერთ-ერთ ონლაინ მედია საშუალებას, ნეტგაზეთს სოციალურ ქსელებში ქცევის სპეციალური რეგულაციები და წესები გააჩნია, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტებს მოეთხოვებათ სოციალურ ქსელებში არ გამოხატონ პირადი პოზიციები იმ საკითხებზე, რაზეც თავად მუშაობენ და ჟურნალისტურ მასალებს ამზადებენ. ნეტგაზეთის მთავარმა რედაქტორმა, ნესტან ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ შტატის სიმცირის გამო ხშირად ჟურნალისტებს სხვადასხვა საკითხების გაშუქება უწევთ, ამიტომაც, თავის დაზღვევის მიზნით, სასურველია ზოგადად თავი შეიკავონ საკუთარი პოზიციების დაფიქსირებისგან.[48] იგი თვითონაც ცდილობს ნაკლებად მიიღოს მონაწილეობა საჯარო დისკუსიებში - იგი ჩვეულებისამებრ მხოლოდ პროფესიულ, ჟურნალისტურ საკითხებზე წერს კომენტარებს და არასდროს გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს.

სხვა მედია საშუალებებს, მაგალითად, Liberali.ge-ისა და Media.ge-ის მართალია მსგავსი ფორმალური წესები არ გააჩნიათ, თუმცა არსებობს ზეპირი შეთანხმება რედაქციასა და ჟურნალისტებს შორის, რომ სოციალურ ქსელებში თავს შეიკავებენ პოლიტიკური მოვლენებისა და იმ პირების შეფასებებისგან, რომლებიც მათი პოტენციური რესპონდენტები არიან.

„საქართველოში მითუმეტეს რთულია, რადგან ბევრი რამ დამოკიდებულია პიროვნულ ურთიერთობებზე და წინასწარ განწყობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მედიის საქმიანობაში" - აცხადებს ლიბერალის აღმასრულებელი დირექტორი, ლიკა ზაკაშვილი.

რამდენიმე მედია საშუალების ჟურნალისტებთან და ბლოგერებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით და სიღრმისეული ინტერვიუებით გამოჩნდა, რომ თავად ჟურნალისტებიც პოლიტიკურ მოვლენებზე და განსაკუთრებით, ამა თუ იმ პოლიტიკოსზე კომენტარების არგაკეთებას ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტად მიიჩნევენ.[49] ასევე, ისინი ამტკიცებენ, რომ ამის მეშვეობით მოსახლეობა მიკერძოებულად არ განიხილავს მათ ან იმ გამოცემას, რომლისთვისაც მუშაობენ. ამავდროულად, მკითხველები მათ სტატიებს ან ანგარიშებს არ შეაფასებენ მათი ფოტოების, სტატუსების, გამოხმაურებების და სოციალური ქსელის პროფილზე გაზიარებული ბმულების მიხედვით. შედეგად, ჟურნალისტთა ეს ნაწილი არ მიიჩნევს თვითცენზურად იმ ფაქტს, რომ ისინი ხშირად მოკლებულნი არიან საკუთარი მოქალაქეობრივი მოსაზრებების საჯაროდ დაფიქსირებას. ასევე, ინტერვიუში რამდენიმე რესპონდენტმა აღიარა, რომ წაუშლია Facebook-ზე დაწერილი კომენტარი, რადგან მასში ღიად აფიქსირებდა მის დამოკიდებულებას და უკმაყოფილებას ცალკეული პოლიტიკური მოვლენის ან თანამდებობის პირების მიმართ.[50]

[48] რესპონდენტი ნ.ტ. 28.11.2013
[49] რესპონდენტი ა.ც. 25.11.2013
[50] რესპონდენტი გ.გ (26.11.2013) და თ.კ (04.12.2013)

ამასთან ერთად, ეს ჟურნალისტები ხაზს უსვამენ, რომ ამგვარი მიდგომით უადვილდებათ რესპონდენტებთან ურთიერთობა,[51] უფრო მეტად უზრუნველყოფილია მათი და მათი გამოცემების რეპუტაცია, იმიჯი და დამაჯერებლობა.

ზოგს მიაჩნია, რომ გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებზე ონლაინ განცხადებების გაკეთებას ურჩევნია ამ კუთხით მუდმივად მოამზადოს არგუმენტებსა და ფაქტებზე დაყრდნობილი ანალიზი და მიიპყროს მოსახლეობის ყურადღება ცალკეულ საკითხებზე პროფესიული სტატიებისა და ანგარიშების მომზადებით.[52]

ამის საპირისპიროდ, სხვა ჟურნალისტები ძალიან აქტიურები არიან სოციალურ ქსელებში და ღიად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მოვლენებზე. ამგვარი ქცევის გამო, მათ ხშირად რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერებად აღიქვამენ და ზოგჯერ ეჭვქვეშ აყენებენ იმ სააგენტოს ობიექტურობას, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.[53]

ბოლოს, მესამე ჯგუფის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტებმა უნდა გააკონტროლონ საკუთარი ქმედებები ინტერნეტში, თუმცა მათი მხრიდან სოციალური აქტივობა დასაშვებია, თუ ესა თუ ის მოსაზრება დამყარებული ფაქტებზე[54] ან ეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს.[55]

ინტერნეტის მომხმარებლების უფლებები და მათი დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ Freedom House-ის ინტერნეტის თავისუფლების 2013 წლის ანგარიშში[56] აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ესტონეთის გვერდიგვერდ, საქართველო შეფასებულია როგორც „თავისუფალი“ ინტერნეტის მქონე და შესაძლოა, საქართველოში იყოს იმაზე უფრო თავისუფალი ინტერნეტი, ვიდრე უფრო ქვევით მყოფ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, ირანი ან კუბა, საქართველოში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ონლაინ აქტივობებს ნეგატიურ შედეგები მოყვება.

აღნიშნული ანგარიში მოიცავს ოთხ შემთხვევას, რომელთაგან ზოგი ფართოდ იქნა გავრცელებული მედიაში, ზოგი კი უშუალო დაზარალებულის მიერ არის მოყოლილი, როდესაც ინტერნეტში განხორციელებულმა ქმედებებმა გამოიწვია სიტყვიერი ან/და

[51] რესპონდენტი თ.კ 04.12.2013
[52] რესპონდენტი ნ.ძ (25.11.2013) და თ.კ (04.12.2013)
[53] რესპონდენტი ა.ც. 25.11.2013
[54] რესპონდენტი ნ.ნ. 25.11.2013
[55] რესპონდენტი ლ.ზ 13.12.2013
[56] Freedom on the Net 2013, A Global Assessment of Internet and Digital Media, გვ.14-15, ხელმისაწვდომია: http://freedomhouse.org/sites/default/files/resources/FOTN%202013_Full%20Report_0.pdf

ფიზიკური ძალადობა სტუდენტების წინააღმდეგ, ინტერნეტში აქტივობების შეზღუდვა ან თანამშრომლების გათავისუფლება.

www.reactor.ge-ს, www.studentebi.com-ისა და ინიციატივა „თარგმნე“-ს შემთხვევები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მოუყვა IDFI-ს სტუდენტების წინააღმდეგ ძალადობის რამდენიმე შემთხვევის შესახებ, აქედან ერთი შემთხვევა შეეხებოდა თავად რესპონდენტს, ხოლო ორი მის მეგობრებს. ქვემოთ მოყვანილი ფაქტები აღებულია ინტერვიუდან და შესაძლოა საჭიროებდეს დამატებით გამოძიებას, ისევე როგორც დამატებითი წყაროების ჩართვას.

2013 წლის სექტემბერში ერთ-ერთი წამყვანი კერძო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოაქვეყნეს სტატია საკუთარი პრობლემების შესახებ სტუდენტურ ბლოგზე www.reactori.wordpress.com.[57]*ბლოგის ადმინისტრატორებმა რამდენიმე მუქარის შემცველი შეტყობინება მიიღეს როგორც Facebook-ის გვერდზე, ისე ბლოგზე, და მათ თავისუფალი უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა „ურჩია“ და მოსთხოვა აეღოთ პოსტი, რადგანაც ის არ იყო „კორექტული“. ბლოგ-პოსტი არ წაუშლიათ.*

არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ შექმნილი ბლოგი საუნივერსიტეტო ცხოვრების და თვითმმართველობის შესახებ, www.studentebi.com. 2012 წლის გაზაფხულზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბლოგი არ აკეთებდა სწორ აქცენტებს და ქმნიდა ნეგატიურ პიარს სტუდენტური თვითმმართველობის წინააღმდეგ. შედეგად ორი ბლოგერი, ზ.მ.-სა და თ.უ.-ს სცემეს სტუდენტური თვითმმართველობის ოფისში. პოლიციას გამოუძახეს და ზომები იქნა მიღებული. მომდევნო დღეების განმავლობაში უნივერსიტეტის წინ დემონსტრაციები გაიმართა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ელოდებოდა ოფიციალურ პასუხს პოლიციიდან და თავის მხრივ დაპირდა აღნიშნულ შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირების დასჯას. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან არ იყო ინფორმაცია საბოლოო შედეგის შესახებ. სტუდენტებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, შემდეგაც აშინებდნენ. იყო ზარები ოჯახებში და საბოლოოდ მათ გადაიფიქრეს სასამართლოსთვის მიემართათ. მოგვიანებით ამ ორი სტუდენტის და კიდევ ერთი სტუდენტის, ი.ბ.-ს Facebook ანგარიშები გატეხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შესაბამისად, მათ ახალი ბლოგი შექმნეს.

ამას გარდა, 2011 წელს, სტუდენტური ინიციატივა „თარგმნე“-ს პრეზენტაციის შემდეგ, სადაც სტუდენტები ითხოვდნენ უნივერსიტეტებში ძირითადი საკითხავი მასალების ქართულ ენაზე

[57] http://bit.ly/Klm1oI

თარგმნას, რამდენიმე სტუდენტი სცემეს. ორმა ბლოგერმა დაწერა სტატიები ამ ფაქტებზე და ისინი ასევე სცემეს. [58]

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ის შემთხვევა

იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ხელმძღვანელის გათავისუფლებას დიდი გამოხმაურება მოყვა ქართულ მედიაში. გათავისუფლების შემდეგ, რაც სავარაუდოდ იყო სამინისტროს რეაქცია ონლაინ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე, სსიპ-ის ორმა მენეჯერმა გაავრცელა ინფორმაცია სოციალურ ქსელში, რომ მათ აშინებდნენ და მათზე ხორციელდებოდა ზეწოლა სამინისტროს მხრიდან, მას შემდეგ, რაც მათ დირექტორის გათავისუფლების თაობაზე კრიტიკული შინაარსის სტატუსები დაწერეს. IDFI-მ ჩაატარა ინტერვიუ ერთ-ერთ მენეჯერთან. მართალია, პროცესის შედეგი ჯერ არ არის ნათელი, და კონკრეტული დასკვნების გამოსატანად დამატებითი გამოძიებაა საჭირო, ვფიქრობთ, რომ შეგროვებული ინფორმაცია მაინც საინტერესო იქნება. ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ეყრდნობა სსიპ-ის ერთ-ერთ მენეჯერთან ჩატარებულ ინტერვიუს.

ონლაინ ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, თუ როგორ დააყოვნა იუსტიციის სამინისტრომ ხელისმოწერა ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაცემულ გრანტზე. 2013 წლის ნოემბერში სსიპ-ის დირექტორი გათავისუფლებულ იქნა „უუნარო მმართველობის გამო“. ამ ფაქტის შემდეგ სსიპ-ის ორმა მენეჯერმა, თ.ა.-მ და ა.ს.-მ დაწერეს კრიტიკული სტატუსები საკუთარ Facebook გვერდებზე. მომდევნო დღეს ეს ორი მენეჯერი და კიდევ ხუთი თანამშრომელი გამოძახებულ იქნენ მინისტრთან, რომელსაც ამობეჭდილი ქონდა მათი სტატუსები და უწოდა „წინა მთავრობის გადმონაშთები“. ახალმა დირექტორმა უთხრა მათ, რომ გენერალური ინსპექცია განიხილავდა შემთხვევას როგორც „სისტემის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას“. ამის შემდეგ მათ შესთავაზეს, რომ იმ შემთხვევაში თუ თავს არ დაანებებდნენ სამსახურს, სხვაგან დასაქმებას ვერ შეძლებდნენ. როგორც თ.ა.-მ ისე ა.ს-მ უარი განაცხადეს ნებაყოფლობით თანამდებობების დატოვებაზე იმის სანაცვლოდ რომ უფრო ნაკლებად მკაცრი დასკვნა მიეღოთ გენერალური ინსპექციიდან. ახლა ისინი ელიან რომ ნამდვილად გაათავისუფლებენ მათი პოზიციებიდან რეორგანიზაციის პროცესის შედეგად. ამასობაში, Facebook-ის შესახებ გაკეთებული შენიშვნების შემდეგ თ.ა.-სა და ა.ს.-ს არ აძლევდნენ დამატებით დავალებებს. ისინი არ ყოფილან მიწვეული არც სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო შეხვედრაზე, არც რეგულარულ სამმართველო შეხვედრებზე. ამ ორს და კიდევ ერთ ასისტენტს, ვინც მსგავსი Facebook სტატუსი დაწერა, არ მიუღიათ ყოველწლიური პრემია, მე-13 ხელფასის სახით. მათ უკვე მიმართეს სახალხო დამცველსა და არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) იურიდიული დახმარებისთვის; ისინი გეგმავენ ღია წერილით მიმართონ არასამთავრობო ორგანიზაციებს და მიმართონ სასამართლოს. ამას გარდა, თ.ა.-მ განაცხადა ინტერვიუში, რომ

[58] რესპონდენტი ბ.გ. 28.11.2013

თვითცენზურა მიღებულია საჯარო სამსახურში დასაქმებულთა შორის, მათ შორის თანამდებობის პირებს შორის, და ამის შესახებ ღიად არავინ საუბრობს.[59]

ნათია იმნაძის შემთხვევა

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მომხდარი შემთხვევის მსგავსი მოხდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ეფუძნება მედიაში გავრცელებულ ცნობებს და საჭიროებს დამატებით გამოძიებას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა გააკრიტიკა სახალხო დამცველის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს, ამ საკითხზე ომბუდსმენის რეკომენდაციას უწოდა „არაპროფესიონალური“ და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკუთარი ვალდებულება თავად მოენახულებინა პატიმრები. ამ კრიტიკის შედეგად, 2013 წლის აპრილში ჟურნალმა ლიბერალმა ჩაატარა ინტერვიუ მონიტორინგისა და პრევენციის დეპარტამენტის უფროსთან, ნათია იმნაძესთან.[60] *იმნაძემ აღნიშნა, რომ მართალია არც ერთი მუხლი არ ავალდებულებს მინისტრს პირადად შეხვდეს პატიმრებს, ასეთი შეხვედრები კარგი იქნებოდა დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამას გარდა, იმნაძემ ისაუბრა ზოგიერთი ადამიანის მხრიდან პროფესიონალიზმის ნაკლებობაზე, პენიტენციურ სისტემაში ახალი მმართველობის სპონტანურ და სწრაფ ცვლილებებსა და ზოგიერთი პატიმრის გაზრდილ ძალაუფლებაზე. 2013 წლის ნოემბერში იმნაძე და მისი მოადგილე ოთარ კვაჭაძე თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. იმნაძემ განაცხადა, რომ მისი გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო მის მიერ ადრე ლიბერალთან გამოთქმული კრიტიკა პენიტენციური სისტემის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ აპრილის ინტერვიუს შემდეგ მას შეეზღუდა კონტაქტი მედიასთან, რადგან ჯერ ნებართვა უნდა აეღო პრესცენტრისგან და სახალხო დამცველისგან. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპარატი არ ასაჯაროვებს მისი გათავისუფლების საფუძველს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის გამო.*[61] *თავად სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ იმნაძე გათავისუფლდა მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობის გამო.*[62] *გათავისუფლების შემდეგ იგივე დეპარტამენტის სამმა თანამშრომელმა საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობები.*[63] *ნათია იმნაძე და ოთარ კვაჭაძე საკუთარ გათავისუფლებას უკანონოდ მიიჩნევენ და აპირებენ სასამართლოსთვის მიმართვას.*

---

[59] რესპონდენტი თ.ა. 26.12.2013
[60] http://www.liberali.ge/ge/liberali/news/114482
[61] http://www.liberali.ge/ge/liberali/news/116902
[62] http://www.ick.ge/articles/16431-i.html
[63] http://www.liberali.ge/ge/liberali/news/116911

www.TSpress.ge-ს შემთხვევა

მედიაში ფართოდ გავრცელებული კიდევ ერთი შემთხვევა ეხება ჟურნალისტის სტატიას, რომელსაც მოყვა მისი პერსონალური ინფორმაციის გამოქვეყნება და ფიზიკური ზეწოლა. ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ეყრდნობა მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას.

2012 წლის 17 ივლისს იზა სალაყაიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის საინფორმაციო ცენტრის (TSpress.ge) ჟურნალისტმა დაწერა სტატია[64] კოალიცია ქართული ოცნების ფოთის ოფისში არსებულ შიდა დაპირისპირებაზე მაჟორიტარ კანდიდატ, ეკა ბესელიასთან დაკავშირებით. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ერთ-ერთმა მომხმარებელმა, შ.მ.-მ გამოაქვეყნა იზა სალაყაიასა და ზ.მ.-ს შორის 2012 წლის 4 ივლისს შემდგარი მიმოწერა.[65] რამდენიმე დღის შემდეგ შ.მ. ქუჩაში თავს დაესხა იზა სალაყაიას.[66] ჟურნალისტმა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) სამართლებრივი დახმარებისთვის და გამოძიება დაიწყო.[67] 2013 წლის აპრილში ფოთის პოლიციამ დაასრულა გამოძიება, მიანიჭა იზა სალაყაიას დაზარალებულის სტატუსი, მაგრამ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია შემთხვევისა და ბრალდებულის თაობაზე.[68]

საქაერონავიგაციის შემთხვევა

ზოგჯერ ქართული დაწესებულებების მიერ რეგულირდება მედიასთან კომუნიკაციის ოფიციალური ნორმები (რაც მოიცავს სოციალურ მედიაში განცხადებების გაკეთებას). საინტერესოა, რომ 2013 წლის 4 ოქტომბერს ქართულ ავიასივრცეში საჰაერო მოძრაობის მმართველი სახელმწიფოს მიერ კუთვნილი შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს კომპანიაში მათ საქმიანობებთან დაკვშირებით კომენტარების გაკეთებისგან ნებისმიერ ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში, მათ შორის ინტერნეტში, ორგანიზაციის დირექტორებთან და პიარ მენეჯერთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამას გარდა, დირექტორებთან და პიარ მენეჯერებთან შეთანხმების გარეშე თანამშრომლებს არ აქვთ უფლება გააკეთონ კომენტარები, განცხადებები, შეფასება ან გაავრცელონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ორგანიზაციის ან მისი წარმომადგენლის სახელით ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში, მათ შორის ინტერნეტში.

---

[64] http://www.tspress.ge/ka/site/articles/12487/
[65] http://www.tspress.ge/ka/site/articles/12526
[66] http://www.tspress.ge/ka/site/articles/12506/
[67] გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, მედიის ანალიზი, იანვარი 2006 - სექტემბერი 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), 2013, გვ. 60.
[68] http://www.tspress.ge/ka/site/articles/13986/

შეჯამება

ზემოთ მოყვანილი შემთხვევები საჭიროებს ფაქტების დამატებით გამოძიებას და მეტი წყაროს მოძიებას. თუმცა მაინც საინტერესო ფაქტებს შეიცავს საქართველოში ინტერნეტის თავისუფლებისა და მისი შეზღუდვების მხრივ დღესდღეობით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. დამატებითი შემთხვევების აქტიურ მონიტორინგთან ერთად IDFI გეგმავს ზემოთ მოყვანილი ფაქტების შემდგომ გამოძიებას და მოგაწვდით უფრო მრავალმხრივ ანალიზს მომდევნო ანგარიშ(ებ)ში.

პლურალიზმი

საქართველოში ონლაინ მედიის განვითარება მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი და ალტერნატიული ინფორმაციის მისაღებად. რამდენიმე ონლაინ მედია გამოცემის ჟურნალისტმა, რედაქტორმა და ბლოგერმა ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საქართველოში დღეისათვის ინტერნეტი, განსაკუთრებით სოციალური ქსელი Facebook-ი, თავისუფალ სივრცედ შეიძლება განვიხილოთ,.

ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ყველაზე თავისუფალი საქართველოში სოციალური ქსელებია, რადგან არავის შეუძლია შეზღუდვა დაგიწესოს. ყველას აქვს შესაძლებლობა შექმნას Facebook-ის პირადი გვერდი, ტვიტერის ანგარიში, შექმნას ბლოგი და საკუთარი მოსაზრებები გაავრცელოს ინტერნეტ მომხმარებლებს შორის თანამედროვე ტექნოლოგიების დამხმარებით. დაბლოკილი არ არის რაიმე ვებ-გვერდი ან პლატფორმა, დაუბრკოლებლად შეიძლება პირდაპირი ტრანსლირების გაკეთება და Skype -ის მოხმარება.

ასევე, უმცირესობებისთვის და მცირე ჯგუფებისთვის საკმაოდ მარტივია საკუთარი მოსაზრებებისა და ინფორმაციის გავრცელება. თუმცა მეორე საკითხია, ამაზე როგორი რეაგირება იქნება ადამიანთა გარკვეული წრეების მხრიდან. „კარგი ის არის რომ, ყველა რასაც უნდა იმას ამბობს. თუ ჩაუჯდები, შეგიძლია ბევრი აზრი შეაჯამო და საბოლოოდ რაღაც დასკვნა გამოიტანო“.[69] „ადამიანები ძალიან თავისუფლად გამოხატავენ ხოლმე საკუთარ აზრს, თუნდაც ყოვლად მიუღებელს, ნებისმიერი საკითხის თუ ინსტიტუციის მიმართ. ბოლო ერთი წლის მანძილზე ეს განსაკუთრებით იგრძნობა.“[70]

„საქართველოში სოციალურ მედია აბსოლუტურად თავისუფალია და თუ პირს უნდა რომ იყოს სოციალურად აქტიური მას ამისთვის ფართო შესაძლებლობა აქვს.“[71]

[69] რესპონდენტი გ.გ. 26.11.2013
[70] რესპონდენტი თ.კ. 04.12.2013
[71] რესპონდენტი ნ. ძ 25.11.2013

რაც შეეხება ონლაინ მედია საშუალებებს, ამ კუთხითაც არ დაფიქსირებულა რაიმე დაბრკოლების ფაქტები. ონლაინ საინფორმაციო სააგენტოებს კანონმდებლობით დარეგისტრირება ან ლიცენზია არ სჭირდებათ, იმისთვის რომ ონლაინ საქმიანობა დაიწყონ.

უფრო მეტიც, რესპონდენტების თქმით, უამრავი ახალი ვებ-გვერდი იქნება, რომელიც თავს საინფორმაციო სააგენტოდ აცხადებს. ხშირია ელ-რესურსები, რომლებსაც აღწერაში არაფერი აქვთ მოცემული ინფორმაცია მათი დამფუძნებლების, რედაქტორების, ავტორების, მისიისა ან ისტორიის შესახებ. ზოგიერთ მათგანის შექმნას გარკვეულ პოლიტიკურ მოვლენებსა და ჯგუფებს უკავშირებენ. მაგალითად, ელექტრონული გაზეთის, www.iveria.biz-ის დამფუძნებლები ყოფილი მაღალჩინოსნები არიან და სტატიებსაც ძირითადად თავად წერენ.

„ბოლო წლებში გაჩნდა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ე.წ პროექტები, ახალი ამბების საიტების სახით და ისინი ინფორმაციას ავრცელებენ თავიანთი პოლიტიკური სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საერთო სურათზე ეს დიდ გავლენას ახდენს.“[72] როგორც წესი, ამგვარი ვებ-გვერდები მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესაბამისად იხურება ხოლმე. რესპონდენტები საუბრობენ დეზინფორმაციული და მცდარი ინფორმაციის შემცველი ვებ-გვერდების გამოჩენაზეც.

„სოკოსავით მრავლდებიან ინტერნეტგამოცემები. მომხმარებლისთვის პრობლემას იმდენად არ ქმნიან. მაინც ადვილია დეზინფორმაციული ვებ-გვერდების გარჩევა, რომლებმაც საინფორმაციო სააგენტოები დაირქვეს და ყოველგვარი ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების გარეშე ავრცელებენ ათასგვარ ინფორმაციას.“[73]

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, საქართველოში ინტერნეტი ზედმეტად თავისუფალიც კი არის, ყველანაირ აზრს ნახავთ ონლაინ სივრცეში.[74]

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მდივნის, დავით კლდიაშვილის თქმით, ეს დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკასა და მიდგომაზე. ამ შემთხვევაში საქართველოს არ აქვს არჩეული ონლაინ მედია საშუალებების რეგულირების პოლიტიკა. საინფორმაციო საშუალებებს წინასწარი დარეგისტრირება არ ევალებათ. შედარებისთვის მას მოჰყავს რუსეთის მაგალითი, სადაც ონლაინგამოცემების რეგისტრაცია სავალდებულოა. იგი მხარს არ უჭერს რეგულირების პოლიტიკას და აცხადებს, რომ ნებისმიერმა საინფორმაციო საშუალებამ, რომელიც საკუთარ თავს ონლაინ გამოცემას,

[72] რესპონდენტი ნ.ც 28.11.2013
[73] რესპონდენტი თ.კ 04.12.2013
[74] რესპონდენტი ნ.ე. 25.11.2013

ონლაინ ჟურნალს თუ ონლაინ გაზეთს უწოდებს, რეპრეზენტაცია უნდა მოიპოვოს მასზე გამოქვეყნებული ინფორმაციით.[75]

მეორე მხრივ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ რამენაირად უნდა მოხდეს ამგვარი ელ-გამოცემების პროფესიული კვალიფიკაციის შემოწმება, თუმცა, ამავდროულად, დაცული უნდა იყოს მათი უფლება, შექმნან მედიასაშუალება.[76]

სუბიექტური ონლაინ გამოცემის არსებობის მიუხედავად, შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე სანდო ონლაინ მედიაგამოცემა. განსხვავებული და მრავალფეროვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა დადასტურებულია კვლევაზე დაფუძნებული ანალიზით. მაგალითად, 2013 წლის მაისიდან ნოემბრამდე, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „პროფესიული მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში განხორციელდა 12 ონლაინ მედია საშუალების (netgazeti.ge, droni.ge, internet.ge, liberali.ge, news.ge, presa.ge, civil.ge, tabula.ge, tribuna.ge, onlinenews.ge, for.ge, dfwatch.ge და palitratv.ge) თვისებრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებების მიხედვით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ახალი ამბები მეტნაკლებად მიუკერძოებელი და დაბალანსებული იყო ამ ვებ-გვერდების მიერ, თუმცა იყო გამონაკლისებიც. უფრო კონკრეტულად, მონიტორინგმა აჩვენა ეთიკური ნორმებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის ხშირი შემთხვევები droni.ge-ზე, for.ge-სა და presa.ge-ზე, მაშინ როცა სხვა ვებ-გვერდებს ასეთი პრობლემები არ ჰქონდათ და ამ მედიასაშუალებებზე გამოქვეყნებული მასალები შეესაბამებოდა ძირითად ჟურნალისტურ სტანდარტებს. ამას გარდა, მონიტორინგის შედეგებით: „ონლაინ მედიის მთავარ პრობლემად რჩება საკითხებისადმი ზედაპირული მიდგომა, კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა და ცალკეულ სტატიებში ინფორმაციის წყაროთა სიმცირე.“

ამ პრობლემების მიუხედავად, კვლევაზე დაფუძნებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინტერნეტის მეშვეობით ხდება განსხვავებული მოსაზრებებისა და პოზიციების გავრცელება და აქტიურ ონლაინ მომხმარებლებს შეუძლიათ ნახონ სხვადასხვა კუთხიდან გაშუქებული პოლიტიკური მოვლენები ახალ ამბებში.

[75] რესპონდენტი დ.კ 29.11.2013
[76] რესპონდენტი ა.ც. 25.11.2013

ინფო-აქტივიზმი

ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო ონლაინ მედიას, ინფო-აქტივიზმს და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოში. ადამიანებს შეუძლიათ გაავრცელონ საკუთარი ონლაინ პროფილები, ანგარიშები და ბლოგები. ზოგადად, ონლაინ მედია და სოციალური ქსელები ქვეყანაში მოქალაქეთა გარკვეული ნაწილისთვის ალტერნატიული ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობის 19%-მა ინტერნეტი ინფორმაციის მთავარ წყაროდ დაასახელა. სოციალური ქსელი Facebook-ი ამ კუთხით ლიდერია. ხსენებულ ვებ-გვერდზე წვდომა საკმაოდ მაღალია არამხოლოდ საქართველოს დედაქალაქის ინტერნეტ მომხმარებლებს შორის, არამედ მთელს ქვეყანაში. CRRC-ის გამოკითხვების მიხედვით, თბილისის მცხოვრებთა 66% (მათგან ვისაც აქვთ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა) Facebook-ს კვირაში მინიმუმ ერთხელ ამოწმებს და იგივე მაჩვენებელი ურბანული და სოფლის რეგიონებისთვის 54% და 40%-ია.[77]



Alexa.com-ის მიერ მოწოდებული მასალა შეიძლება გამოდგეს იმის საჩვენებლად, თუ როგორი ელ-რესურსებია პოპულარული საქართველოს ონლაინ საზოგადოებაში. ეს არის კალიფორნიაში Amazon.com-ის ფილიალი კომპანიის ელ-რესურსი, რომელიც აქვეყნებს ვებ-ტრაფიკის შესახებ მონაცემებს, მათ შორის ინფორმაციას პოპულარული გვერდების, ინტერნეტ ტრაფიკის სტატისტიკას. ამ ვებ-გვერდზე დაყრდნობით, საქართველოს მომხმარებლები ხშირად შედიან შემდეგ ვებ-გვერდებზე: Facebook.com, Google.com, Youtube.com, Google.ge და Odnoklassniki.ru.

[77] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

პირველი ორმოცი ელ-რესურსი გავანაწილეთ შემდეგ კატეგორიებში: გართობა, სოციალური ქსელები, ინფორმაციის მოძიება, ბლოგი/ფორუმი, სერვისები, ახალი ამბების სააგენტოები და ვიდეო პორტალები. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს, რომ საქართველოს ინტერნეტ საზოგადოება ყველაზე ხშირად სტუმრობს შემდეგი ტიპის ვებ-გვერდებს: ელ-რესურსები (ძირითადად, ელ-მაღაზიები), სოციალური ქსელები და საძიებო სისტემები.



გარდა ამისა, საინტერესოა, ინტერნეტ მომხმარებლები ონლაინ ყოფნისას რა ტიპის სერვისებს იყენებენ და ითხოვენ. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ონლაინ აქტივისტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების შემოწმება (72%), ინფორმაციის მოძიება (53%), Skype-ით ჩეთი (33%), ახალი ამბების ყურება, მოსმენა და გადმოწერა (25%) და ელ-ფოსტების გაგზავნა/მიღება (20%).[78] ეს შედეგები უმეტესწილად ემთხვევა Alexa.com-ის სტატისტიკურ მონაცემებს.

[78] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)



ეს ინფორმაცია მეტყველებს საქართველოს ინტერნეტ მომხმარებლების ქცევის თავისებურებებზე. ამ მხრივ, სოციალურ ქსელებში მოქალაქეების ინტერაქციისა და აქტივობის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ის აჩვენებს ონლაინ კომუნიკაციისადმი მათ გახსნილობას, საკუთარი ხედვების გამოხატვით, დისკუსიებსა და ფორუმებში აქტიური მონაწილეობით. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ინტერნეტი იშვიათად მოიყენება შედარებით ინტერაქციული მიზნებისთვის. ქართველების ნაკლები მიდრეკილება აქტიური ონლაინ დისკუსიებისადმი დამტკიცებულია ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებითაც. მაგალითად, CRRC-ის გამოკითხვის მიხედვით, Facebook-ის მომხმარებელთა ნახევარზე მეტი მას ამოწმებს Facebook სიახლეების წასაკითხად და სანახავად (51%), მაშინ როცა მხოლოდ 6% გამოხატავს თავის მოსაზრებებს სხვა ადამიანების პოსტებზე.[79] ამ მონაცემებზე

[79] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2013). „კავკასიის ბარომეტრი“. 2013 წლის მონაცემები მოწოდებულია CRRC-

დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოციალური ქსელების მომხმარებლები ძირითადად არიან სხვადასხვა ელ-რესურსებზე არსებული ინფორმაციის პასიური მიმღებები.



გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ სოციალურად აქტიური ადამიანები საკუთარ ვირტუალურ აქტივობებს არ გარდაქმნიან რეალურ ქმედებებად. მაგალითად, მრავალი Facebook ღონისძიება შეიქმნა ქვეყნისთვის პრობლემატურ საკითხებსა და გამოწვევებზე (მაგ., თბილისის გარეუბნებში ტყეების გაჩეხვა, უმცირესობების უფლებების დაცვა და ა.შ). შედეგად, ეს ონლაინ პლატფორმა ეფექტურად გამოიყენებოდა სამოქალაქო მობილიზაციისთვის. თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ მართალია ასობით ადამიანი ვირტუალურ მხარდაჭერას უცხადებდა ცალკეულ აქტივობებს, მაგრამ საბოლოოდ, მხოლოდ ათობით ადამიანი ესწრებოდა ფიზიკურად ამ ღონისძიებებს.

ის მიერ (2013 წლის 26 დეკემბერი)

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რამდენიმე მშვიდობიანი პროტესტი დაიგეგმა Facebook-ზე ვაკის პარკთან დაკავშირებით. დემონსტრანტები თბილისის საკრებულოსგან, თბილისის მერიისგან და თბილისის არქიტექტურის სამსახურისგან ითხოვდნენ შვიდსართულიანი სასტუმროს მშენებლობის შეჩერებას პარკში, რომელიც დედაქალაქის მნიშვნელოვანი რეკრეაციული ზონაა. ორგანიზატორებმა შექმნეს პეტიცია ვებ-გვერდზე www.secure.avaaz.org. დღეისათვის მას 5 013 ხელმოწერა აქვს დაგროვებული.

უნდა აღინიშნოს, რომ პეტიციების შექმნისა და საქართველოს მთავრობისადმი მიმართვების გაკეთება ბოლო დროს საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა გახდა. მიუხედავად ამისა, ვებ-გვერდები, სადაც ეს პეტიციები ქვეყნდება ძირითადად მოხალისე ჯგუფების მიერაა შექმნილი. მეორე მხრივ, მთავრობას ჯერ არ შეუქმნია ონლაინ პეტიციების პასუხის საერთო მექანიზმები.

საერთაშორისო ინიციატივის, „ღია მმართველობის პარტნიორობა“, ფარგლებში საქართველომ აიღო ვებ-გვერდის - ichange.ge შექმნის ვალდებულება. ეს იქნება პლატფორმა, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, კრიტიკა ან იდეები. სამოქმედო გეგმის მიხედვით,[80] პროექტის გუნდი იმუშავებს ამ ვებ-გვერდზე, რათა გადაწყვიტონ ყველაზე ხშირად განხილული საკითხები, გამოავლინონ ძირითადი პრობლემები და შეატყობინონ შესაბამის საჯარო დაწესებულებებს. ასევე, ichange.ge ელ-პეტიციების შექმნის და გაგზავნის შესაძლებლობას წარმოშობს. როცა ელ-პეტიცია მოაგროვებს გარკვული ოდენობის ხელმოწერებს (დამოკიდებულია საკითხის მასშტაბსა და მნიშვნელობაზე) სამთავრობო უწყებები ვალდებულნი არიან იმოქმედონ. IDFI-იმ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მთავრობას მიაწოდა რეკომენდაციები და ამ ელ-პლატფორმის კონცეფცია.[81] სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ამ მიმართულებით ჯერ რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

[80] ღია მმართველობის პარტნიორობა/საქართველო. ხელმისაწვდომია: http://www.opengovpartnership.org/country/georgia, ბოლო ნახვა: 25.12.2013

[81] მოქალაქის პლატფორმის კონცეფცია - www.ichange.ge. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: http://www.idfi.ge/?cat=researches&lang=en&topic=104&header=, ბოლო ნახვა 26.12.2013